ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ70.70220619**

თარიღი:**02/03/2022**

საჩხერის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების (განმეორებითი) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118–ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების და საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N54 36 განკარგულების „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მარტის N54 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საფუძველზე ვბრძანებ:

1. განმეორებით გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი და პრივატიზებული იქნას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ზომისა და დასახელების მეორადი რკინა ბეტონისა და ბეტონის კონსტრუქცია (15 ცალი ბეტონის (ცოკოლის ბლოკი), 11 ცალი რკინა ბეტონის (წყლის შემაკავებელი) კონსტრუქცია, 4 ცალი ბეტონის გახაპირა მალის ფილა (L=18მ) და 6 ცალი ბეტონის შუალედური მალის ფილა (L=16მ).

2. ელ-აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2022 წლის 15 მარტის 15.00 სთ და დასრულების დროდ ამავე წლის 24 მარტის 15.00სთ.

3. მოძრავი ქონების საწყისი საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ქონების საბაზრო (საერთო) ღირებულების (10575.00 ლარი) 50% -5287.50 ლარით. „ბე“ და „ბიჯი“ საწყისი საფასურის 10 პროცენტი.

4. ბრძანება გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქუჩა #3).

ლევანი ივანაშვილი

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი